**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| 12 | თვით | 10 მ. — კ. |
| 11 | ,, | 9 ,, 50 ,, |
| 10 | ,, | 8 ,, 75 ,, |
| 9 | ,, | 8 ,, — ,, |
| 8 | ,, | 7 ,, 25 ,, |
| 7 | ,, | 6 ,, 50 ,, |
| 6 | ,, | 6 ,, — ,, |
| 5 | ,, | 5 ,, 50 ,, |
| 4 | ,, | 4 ,, 75 ,, |
| 3 | ,, | 3 ,, 50 ,, |
| 2 | ,, | 2 ,, 75 ,, |
| 1 | ,, | 1 ,, 50 ,, |

# ივერია

№ 181 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 181

**წლ. ურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს— 5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.

2. ხელის მოწერის დროს— 4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.

3. ხელის მოწერის დროს— 3 მ, მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.


**განცხადების ფასი:** პირველ გვერდზედ—15 კაპ. სტრიქონი, მეოთხეზედ—10 კაპ., მთელი გვერდი, ანუ დიდი განცხადება, ცალკე მორიგებით.

## „ივერია"

პირველ მარიამობისთვიდამ წლის დამლევამდე . . . . . 5 „ 50 კაპ.

ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისაა, სტუდენტებისა და ხელოსნებისათვის ჭღირს:

პირველ მარიამობისთვიდამ წლის დამლევამდე ქალაქში . 2 „ 50 „

„ „ „ „ ქალაქ გარედ . . 3 „ —

გაზ. ,,ივერიის'' **კანტორა** ყოველ-დღე ღია არის—დილის 9 საათიდამ 3 საათამდე და საღამოს 5 საათიდამ 8-მდე; კვირა და უქმე დღეს—12 საათ. 2 საათამდე.

## ხელის-მოწერა მიიღება:

**ტფილისში:**—„ივერიის" რედაქციაში (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურთა ქარვასლა.)

**ქუთაისში:**—წიგნ. გამომც. ამხანაგობის კიოსკში, ბეჟანჯიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

**ბათომში:**—ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში და ქელიძის წიგნის მაღაზიაში.

**საბუნჩაში:**—პეტრე მაჭავარიანთან.

**შორაპანში:**—პართენ ნასიძესთან.

**განჯაში:**—სოფრომ კანდელაკთან (სადგურზედ).

**ბორში:**—ანტონ კასრაძესთან.

**საფოსტო ადრესი:** Тифлисъ, Редакція „Иверіа".

---

## ხუთი ახალი წიგნი

წიგნის მაღზია „ცოდნა"-ს გამოცემა.

| | |
|---|---|
| ილია ჭავჭავაძის ლექსები . . . . . . | 15 კაპ. |
| რაჭა, სოსიკო მერკვილაძისა . . . . . . | 20 ,, |
| რაშია ბედნიერება, იასე რაჭველისა . . . . | 10 ,, |
| სამშობლო და კაცობრიობა, ივ. მაჭავარიანისა . . | 10 ,, |
| ნაკვესები ქართველ მწერალთა და ბრძენთა ნათქვამი . . | 7 ,, |

ვინც ჩვენ მიერ გამოცემულ წიგნებიდგან, იყიდის არა ნაკლებ ერთის მანეთისას, ყოველ მანეთში დაეთმობა თითო აბაზი.

მისამართი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА".

(40—4). მაღაზიის პატრონი სოსიკო მერკვილაძე.

---

Feriencolonien. Colonie des vacances

„პატარა-ცემი"-ს

## საზაფხულო სამყოფი

### ექიმის ვახტანგ დ. ღამბაშიძისა

## მოზარდ ქალ-ვაჟთათვის

ზედ ბაკურიანის რკინის გზაზედ, ბორჯომის მახლობლად, მთა-ადგილზედ, ფიჭვნარში, 4400 ფუტის, 1300 მეტრის სიმაღლეზე.

მიიღებიან ორივე სქესის მოზარდნი ასაკით 8—16 წლამდე, სისხლნაკლები, დასუსტებული, მოქანცული, ნაავადმყოფარი, მადა-დაკარგული, ჭაობის ციებით შეპყრობილი ბავშვები და საერთოდ ისინი, ვისაც ესაჭიროება დასვენება, მოღონივრება და სხეულის გამაგრება.

წამლობა განსაკუთრებით ბუნებრივი და ჰიგიენური. მთის წმინდა ჰაერი, დასვენება, უხვი და ნოყიერი საზრდო და ყოველ-გვარი ვარჯიშობა წყლით ექიმობა და სხვ.

არ მიიღება მწოლიარე ავადმყოფი, გადამდებ სენით და ფილტვების სიჭლექით დაავადმყოფებული, არც ის, ვისაც რომელიმე მიზეზისა გამო მაღალ, მთა-ადგილს ყოფნა არ არგებს.

საზაფხულო სამყოფის ხანად არის დანიშნული **ორი თვე:**

15 ივნისიდგან 15 მარიამობისთვემდე.

მსურველთ გაეგზავნებათ ცალკე წიგნაკი დაწვრილებით ცნობებით მოთხოვნილებისათანავე. პირადად ანუ წერილობით შეიძლება მიმართონ ექიმს ვ. ღამბაშიძეს, თბილისს, ნიკოლოზის ქ. № 46. (15—15)

---

«ქართვ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» გამგეობა ამით აცხადებს, რომ სეკდემბრის პირველიდგან საჭიროა

## მასწავლებელი

«საზოგადოების» სკოლისათვის სოფ. ყაღამშიაში (ბორჩალ. მაზრა). მასწავლებელს ექმნება ჯამაგირი თვეში 30 მან., ბინა და შეშა. მსურველმა უნდა წარმოადგინონ თხოვნა და საჭირო დოკუმენტები «საზოგადოების» გამგეობაში, (Тифлисъ, Общество Грамотности). (2—2).

---

გამოვიდა ახალი

## კატალოგი

წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიის წიგნებისა. მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ უფასოდ წიგნის მაღაზიებში.

---

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართვ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

## ქაჯანა

2.

## ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Общество распрстр. грамотности.

---

ახალი გამოცემა «წერა-კითხვის საზოგადოებისა»

**გულივერის მოგზაურობა**

სვიფტისა, მრავალის სურათით. 168 გვ. ფასი 30 კაპ.

**გამოვიდა და ისყიდება**

შთრეულ აღმოსავლეთის დაფერადებული

## ქართული რუკა

ცალკე გამოცემა გაზეთ «ივერიისა». ფასი სამი შაური.

ისყიდება რედაქციაში და ყველა ქართულს წიგნის მაღაზიაში.

---

გამოვიდა და ისყიდება

## კატალოგი

წარმოსადგენად ნება-დართულ ქართულ პიესებისა.

**ფასი 15 კაპ.**

ვისაც სურს ყიდვა, მიჰმართონ ქართულ დრამატიულ საზოგადოების კანტორაში ბ-ნ დავ. ნახუცრიშვილის (3—3)

---

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ,**—ცორდანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს —6-7 საათამდე.

**გძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მიღოვისა. № 5

**გაბაშვილი გრიგოლ,**—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**მაჭაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**მარიამ ნიკოლოზის ასული ზაალიშვილისა,** მიხეილის პროსპექტი, № 145.

**დიასამიძე ალექსანდრე,**—მიხეილის პროსპექტი, სახლი დოდუხანოვის, № 123.

---

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ყ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. ზ. აფეტიხიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ვადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**კ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**გ. ა. თარხანოვი.** $1—1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** $1—1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. სოლოლაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

**საღამოობით:**

**ნ. ნ. როხტომგეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

**გ. ს. ელვი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. ზჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**გ. ა. თარხანოვი.** $7^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **კ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წლ.

---

## კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9, მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი** № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

**ა. ნ. დიასამიძე.** 11—12 საათ.

**ა. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 10—11 ს.

**ა. ი. ბალარჯიშვილი.** ბავშვებისა, 9—10 ს.

**ლ. მ. მონინი.** ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 2—1 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

**ტყეშელაშვილი.**—კბილის ექიმი იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 საათ.

ექიმი ქალი **მ. კ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 11—12 ს. სამშ, ხუთშ. შაბათ.

**გრ. ვ. ხოგოლევსკი**—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

**პ. ა. ბეიერი.** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

სამკურნალოში ჴხდება ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაკტერიო-სკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

46—8 ტელეფონი № 274 (წ.)

---

## ომის ამბები

**დეპეშები და წერილები.**

„სივუჩის" აფეთქება.—ჩინელ მოხელეების განცხადება მუკდენში.—ჩინელების მზადება.—წვრილი ცნობები.—ბონზები.

ლიაოიანიდგან იწერებიან 30 ივლისს სამხედრო გემის «სივუჩის» დალუპვის შესახებ. როდესაც რუსებმა ნიუ-ჯუანის დაცლა განიზრახეს, იმავე დროს გადასწყვიტეს, სამხედრო გემი «სივუჩი» უნდა დავღუპოთ, რომ მტერს არ ჩაუვარდესო. ეს გემი ძველიც იყო, მძიმეცა და მეტად ნელა მოსიარულეც. 19 ივლისს «სივუჩის» კაპიტანმა ბრძანება მიიღო, გემი ააფეთქეო, და იმან ბრძანება 20 ივლისს შეასრულა. ჯერ ახალი ზარბაზნები მოხსნეს და გადმოიღეს, ძველები კი ზედ დაანარჩუნეს. შემდეგ ნაღმი ჩასდეს სამს ადგილს—თავსა, ბოლოს და შუაში და ერთსა და იმავე დროს ააფეთქეს. სულ არ გასულა 2 წუთი, რომ გემი წყალმა დასძირა. მეზღვაურები ისე გულ-დათუთქულები იყვნენ, თითქო მშობელს ასაფლავებენო. მალე ცეცხლი წაუკიდეს ნავ-გემს «ინკოუს». მეორე ნავ-გემი „ჩასავოი" ადგილობრივს მამასახლისს ჩააბარეს, რომ ლიაოიანში გაეგზავნა. დანარჩენ ნავ-გემებზე თვით-მეზღვაურები ჩასხდნენ და მდინარე ლიაოხეს ზემოდ აჰყვნენ ლიაოიანისკენ (რ. ს.).

—

მეფის მოადგილე ცოტას ხანს ხარბინს გაემგზავრა მუკდენიდგან. ამ გარემოებით ისარგებლა მუკდენის ძია-ძუნმა (გამგებელმა) და ბრძანება გამოსცა, იაპონელნი კეთილნი არიან, აქაურ მშვიდ მცხოვრებლებს არ ერჩიან, რადგან სამტროდ კი არა, სამეგობროდ მოდიან; ამის გამო ყველამ ამ ქალაქში თავისი საქმე განაგრძოს: ვაჭარმა ივაჭროს, ხელოსნებმა იმუშაონ ქარხნებში და მეურნემ თავის ნახნავ-ნათესს მოუაროსო. ადგილობრივმა რუსის კომისარმა ძია-ძუნი დაიბარა, მაგრამ ის არ მივიდა. კედლებზე გაკრული ფურცლები რუსებმა სულ ჩამოჰგლიჯეს.

ლიაოიანშიაც რაცლა მოძრაობაა. შემჩნეულია, რომ ხალხი აპირობს დიდის ამბით მიეგებოს იაპონელებს. ბანებზე თოკები გაუბამთ, რომ ქუჩები ბაირაღებით მორთონ. რუსებმა სასტიკი ღონისძიება მიიღეს და ხალხი დაწყნარდა. ჩინეთის წარმომადგენელმა რუსების წინაშე ბოდიში მოიხადა და განაცხადა, რუსების ერთგულნი ვართ და ვიქმნებითო.

მინდვრებში რუსები გაოლინსა სჭრიან, რადგან იაპონელების ქვეითი ჯარიცა და მხედრებიც ადვილად იმალებიან. ხნულის პატრონს ზარალს უნაზღაურებენ, თუ რომ ისინი თავის ნათესის გაფუჭებას დათანხმდებიან და რუსებს მოჭრაში უშველიან.

იაპონელები ჩვენ ჯარს ორთავ მხრიდგან გარს უვლიან. მდინარე ლიაოხეს ნაპირებზე სურსათს ამზადებენ.

ხუნხუზების ბრბოები იზრდება და მრავლდება. ჯერ-კი ეგრე რიგად საშიშნი არ არიან და მათი მოსპობა-განადგურებაც ადვილია, ვიდრე არ მიეშველნენ იუანშიქაი თავის 70,000 და მაიც 11,000 მეომრით.

ეხლახან ინკოუდან მოსულებმა გვიამბეს, რუსებისაგან აშენებული და გამდიდრებული დენკერი და ვინკლერი იაპონელებს სიხარულით ეგებებიან და მადლობას უცხადებენ, რომ რუსებისაგან გვიხსენითო. გაიძვერაობით ცნობილი ბუში, როგორც ეხლა გამოირკვა, იაპონელების ჯაშუში ყოფილა ინკოუში. ეხლა ის იაპონელებს დასდევს და უჩვენებს, სად რა აქვთ რუსებს დაფლულ-დამალული, ანუ სად იმალებიან იმათი მოსამსახურეები. ჩინელები ჩვენს ქონებას სულ

იპარავენ და ითვისებენ. ძარცვა-გლეჯის მოსასპობად იაპონელებმა დარაჯები დააყენეს. (რ. ს.).

—

ჩვენის სამხრეთის შუბლის პირდაპირ იაპონელებს ძალიან ცოტა ჯარი ჰყავთ. მომეტებული ჯარი აქეთ-იქით გაუგზავნიათ, რომ ჩვენს ბანაკს ალყა შემოარტყას. წვიმა კვალად შესწყდა. მზე არემარეს შუშხავს. ეტყობა, წელს ავდრიანობის ხანა აღარ იქმნება. მდინარე ლიაოხეზე გუშინ მოწინავე რაზმებს შეტაკება ჰქონიათ. იაპონელები უკუ-უქცევიათ. ჩინელების სიტყვით, მდინარე ლიაოხეს ხეობით 7,000 იაპონელი ზემოთკენ მიდის. როგორც ამბობენ, ეს ფორმოზის ჯარი უნდა იყოს. (რ. ს.).

—

უკანასკნელი ბრძოლა ორის ესკადრიისა უსაშინელეს და უდიდეს ბრძოლად უნდა იყოს ცნობილი ფლოტის ისტორიაში. ორთავ მხარეს ბრძოლაში ჰქონდათ 1,109 დიდი ზარბაზანი, იმ ზარბაზნებს გარდა, რომლებიც 38 ნაღმოსანზე იყო.

რუსის გემებს 130 დიდი ზარბაზანი ჰქონდათ ბრძოლაში და 331 მომცრო იაპონელებს კი ჰქონიათ 187 დიდი და 331 მომცრო ზარბაზანი. (ნ. ვ.).

—

«მორ. ფოსტმა» თავის კორესპონდენტისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო შანჰაიდგან:

ნაღმის მმუსვრელი «გროზოვოი» დღეს აქ მოვიდა.

კრეისერი «ასკოლდი» სამს ადგილს დაზიანდა. 1 აფიცერი და 11 მატროსი მოკლულია, 50—დაჭრილი.

ნაღმოსან «რეშიტელნიზე» ორი ქალი ყოფილა—გენერალ სტესსელის ცოლი და ქალი. (მ. ვ.).

—

იქიდანვე რეიტერის სააგენტოს ატყობინებენ 30 ივლისს: დღეს აქ მოვიდა რუსის სამხედრო გემი, ნაღმის მმუსვრელი. ამბავი მოიტანა, რუსის 4 ჯავშნოსანი კუნძულ სადლს მიადგა, შანჰაიდგან სამხრე-აღმოსავლეთისკენ. (მ. ვ.).

—

ლიაოიანიდგან დეპეშით იწერებიან, ჩინელების სიტყვით, ვითომც იაპონელების ჯარში მოხუცებიც არის, ყრმებიცა და დიაცებიც. ქალაქ დალნიში 3,000 იაპონელი დიაცი მამა-კაცის ტანთ-საცმელშია გამოწყობილი და იარაღის ხმარებასა სწავლობსო. (მ. ვ.).

—

ბ ო ნ ზ ე ბ ი.

(ვას. ნემიროვიჩ-დანჩენკოს წერილიდგან «რუს. სლოვოში»).

მზიანი დღეა. ცა მოკაშკაშებულია. ამმაყად ტან-აყრილი ყანა ბიბინებს. ცისნამით უხვად მორწყულ ხნულებში გაოლინს ღერო დაუმსხვილებია...

კაცს კი, ამ სოთნებო ბუნების მაყურებელს, იმაზედ კარგი ვერა მოუგონიარა, რომ თავის მოძმეს «რკინის სიკვდილი» უძღვნას, ლახვრით განგმიროს, ცივ ფოლადითა და ხმალ-ხანჯლით აკუწოს... თითქოს იმას ძალიან ხანგრძლივად მიაჩნია ის ვადა, რომელიც აუცილებელმა სიკვდილმა კაცს დაუნიშნა... მე უკან მოვიხედე, რომ ერთხელ კიდევ თვალი მომეკრა ბონზებისათვის, როდესაც ერთის ხეობისაგან მეორეში უნდა შემეხვია. ისინი იმავ ადგილს იდგნენ და თავს აქნევდნენ; სამლოცველოს-საკერპეს სახურავის არშიას კი დასავლეთისკენ გადახრილ მზის სხივები უფრო ალაპლაპებდა და ეთამაშებოდა...

— ეს იმათი ბერები თუ არიან?—მეკითხება ერთი სალდათი.

— დიაღ.

— ასე რომ ძალიან კარგი ხალხია.

— განა იცნობ?

— ჩინეთის წარსულ ომში მაგათ წამიყვანეს. ღმერთმა მშვიდობა და დღეგრძელობა მისცეს. თავიანთებურად მივლიდნენ. ჰრილობაზე დაღეჭილ ბალახს მადებდნენ—სრულიად არა მწვავდა. რაღაც ბალახის წვენსაც მასმევდნენ. ფლავსა და ქათმის ხორცს მაჭმევდნენ. როდესაც კარგა გავხდი, გამომიყვანეს, ჩვენიანების გზა მიჩვენეს და გამომისტუმრეს. თან ბარათი გამომატანეს გენერალთან.

— რა ეწერა?

— ასე რომ შემდეგ ჩვენმა აფიცერმა გვიამბო. იმათებურად იყო ნაწერი: «კაცი კაცის ძმაა. მათი საერთო დედა—ცხოვრებაა, მამა-კი—სიკვდილია». ვერ გავიგეთ, მაგრამ კარგად-კი არის ნათქვამი. მე ჩვენ ფითფებელს დავეკითხე: რა აზრი უნდა იყოს? ჰო და, იმან იფიქრა-იფიქრა და მითხრა: ჩინელებს ესეთი ჩვეულება აქვთ: მამას ყოველთვის შეუძლიან თავისი შვილი მოჰკლას... სიცოცხლე იმას მიუცია და წართმევის უფლებაც აქვს...

— ნუ იტყვი,—ეგ სულ სხვაა. მერე გენერალმა იმ ბერს მადლობა შეუთვალა?

— ხუთი თუმანი აძლიათ, ამბობენ, მაგრამ იმ ბერმა არც-კი დახედა, ისე ამაყი ყოფილა.

მომაგონდა წარწერა ჩინელის სახლზე ერთს პატარა სოფელში, დაშიცაოს ახლო:

«ქვეყნის საუნჯენი როს მოაგროვო და ჯილდოდ მისცე მხოლოდ ერთ ჭეშმარიტად კეთილ საქმისათვის, ისიც კი ცოტა იქმნება».

— ასე რომ გენერალმა ჩაიზე მიიპატიჟა და დიდხანს ებაასა... მერე ის მოხუცი მე გავაცილე, რომ არავინ აწყინოსრა. არის მაგისთანებიც. სიბეროტით-კი არა, ისე სიბრიყვით ჩადიან...

—

# ტ ფ ი ლ ი ს ი

—

*_* გუშინ, 4 აგვისტოს, საგანგებო კრება ჰქონდა ტფ. ქალაქის საბჭოს. კრებაზედ მემკვიდრე ცესარევიჩისა და დიდის მთავრის ალექსი ნიკოლოოზის ძის დაბადების ხსოვნის აღსანიშნავად დადგენილ იქმნა: 1) ეპატიოთ ტფილისის მცხოვრებთ მათზედ დარჩენილი დასაფასებელი და სხვა გადასახადი, 20,000 მანათამდე და 2) მომავალს პოლიტეხნიკუმს ტფილისში დაერქვას «ალექსის პოლიტეხნიკუმი» და ამის შესახებ აღძრულ იქმნას შუამდგომლობა მის უდიდებულესობის წინაშე.

*_* ბათუმის სამხედრო ოლქის გუბერნატორმა, გენერალ-მაიორმა დრიაგინმა გუშინ დეპეშით აცნობა ტფ. გუბერნატორს, რომ ბათუმის საყასბოში არდაგანიდგან მორეკილ საქონელს შავი ჭირი აღმოაჩნდაო.

*_* 3 აგვისტოს დაიწყო კრება ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის კომისიისა, რომელსაც მინდობილი აქვს საქმე სტიპენდიების დანიშვნისა უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში. კომისიამ გადასწყვიტა, ჯერ-ჯერობით ის 1500 მ., რომელიც გასანაწილებელია სხვა-და-სხვა საქველმოქმედო დაწესებულებათათვის, ასე იქმნას განაწილებული: 605 მან. იმ შეუძლებელ მოსწავლეთათვის, რომელთაც ეხმარება და შემწეობას აძლევს ტფ. სათავად აზნაურო სკოლის კომიტეტის განყოფილება კნ. მ. ვ. ჯამბაკურიან-ორბელიანის თავმჯდომარეობით, 200 მან. ახალციხის საქალებო სკოლას, 200 მან. ტფ. ქრა-კერვის სკოლას, 150 ტფ. ყაზბეგის სკოლას, 150 მან. კავკ. სამკურ. საზოგადოებას სახალხო წიგნების გამოსაცემად რუსულსა და ადგილობრივს ენებზედ, 120 მან. კნ. ნ. ორბელიანს შემწეობად, 75 მან. სოფ. კარდენახის უფასო სამკითხველოს.

კომისიამ შეადგინა სია იმათი, ვინც ღირსად იქმნა ცნობილი სტიპენდიების დანიშვნისა უმაღლესს სასწავლებელში. წუხელ კომისიას უნდა გადაეწყვიტა, სახელდობრ ვის დაენიშნოს სტიპენდია, ხოლო სტიპენდიის მიღების მსურველთა რიცხვი მრავალია და სტიპენდია-კი 15-ია, ამ მსურველთა შორის, სტიპენდია დაენიშნება მხოლოდ უღარიბესთ.

*_* ტფ. დედათა მე-IV გიმნაზიის საპედაგოგიო საბჭოს თავმჯდომარე აცხადებს, რომ მომავალ სამოსწავლო წლისთვის მოწაფე-ქალებს მიიღებენ მხოლოდ მოსამზადებელ კლასის უმცროს განყოფილებასა და მე-IV კლასში. ამ გიმნაზიაში მისაღები და გამმეორებითი ეგზამენები მოჰხდება 22, 24, 25, 26 და 27 აგვისტოს.

*_* ტფ. სავაჟო მესამე გიმნაზიაში გადასაყვანი ეგზამენები მოჰხდება 23—27 აგვისტოს. მისაღები ეგზამენები ახლად შემსვლელთათვის მოსამზადებელსა და პირველს კლასში მოჰხდება 26, 27 და 28 აგვისტოს. სხვა კლასებში შესვლელთათვის კი, თუ ადგილები განთავისუფლდა, 27—28 აგვისტოს. თხოვნებთან ერთად უნდა იყოს, ყველა საჭირო მოწმობათა გარდა, ფოტოგრაფიული სურათიც.

*_* ლაზარევის აღმოსავლეთ ენათა ინსტიტუტში (მოსკოვში) წელს განთავისუფლდა კავკასიის ორი სტიპენდია. ეს სტიპენდიები კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ დაუნიშნა თავ. არჩილ ჯორჯაძესა და ნიკ. მაციგოროვს.

*_* დღეს, 6 აგვისტოს, კავკასიის საიმპერატორო საზოგადოება გამართავს ხოლერის შესახებ სახალხო კითხვებს ქართულს, რუსულსა და სომხურს ენებზედ—ტფ. ქალაქის საბჭოს დარბაზში, ერევნის მოედანზედ. რუსულად წაიკითხავს ექიმი ა. ა. მუხარინსკი, საღამოს 7 საათზედ, ქართულად—ექიმი ა. ნ. დიასამიძე, საღამოს 8 საათზედ და სომხურად-ექიმი ა. ა. შხიანცი—9 საათზედ.

*_* 3 აგვისტოს კრებაზედ ტფ. მოქალაქეთა რწმუნებულთ დაადგინეს, მემკვიდრე ცესარევიჩისა და დიდის მთავრის ალექსი ნიკოლოოზის ძის დაბადების აღსანიშნავად დაარსებულ იქმნას სასწავლებელი და დაერქვას «ტფილისის მოქალაქეთა სასწავლებელი ალექსის სახელობისა». კრებამ აარჩია კომისია და დაავალა იმის გამორკვევა, თუ რა ტიპის სასწავლებელი უნდა დაარსდეს და, რამდენი ფული დასჭირდება ამ საქმეს.

*_* ამიერ-კავკასიის რკინის გზათა უფროსს აცნობა იმიერ-ბაიკალის რკინის გზის უფროსმა, რომ აქეთ გამოგზავნილ მემანქანეთ, აგენტთა და მეისრეთ უსათუოდ თბილი საზამთრო ტანისამოსი უნდა წამოიღონ და თუ არა აქვთ, რკინის გზამ შეუკეროსო.

*_* ტფ. გუბერნატორი 28 დღით სამსახურიდგან დაითხოვა შესაწვენებლად მთავარ-მართებლის თანაშემწემ გენერალმა ფრეზემ.

*_* ტფილისში 16-დგან 23 ივლისამდე სხვა-და-სხვა გადამდებ სენით ავად გამხდარა 7 კაცი, მათ შორის ერთი გარდაცვლილა (დიფტერიტით).

# საქართველოს ამბები

—

*_* 1-ლ აგვისტოს საგანგებო კრება ჰქონდა ქუთაისის ქალაქის საბჭოს, მემკვიდრე ცესარევიჩისა და დიდის მთავრის ალექსი ნიკოლოოზის-ძის დაბადების აღსანიშნავად. კრებამ დაადგინა: 1) გაეგზავნოსთ მათ იმპერატორებით უდიდებულესობათ უქვეშევრდომილეს გრძნობათა გამომხატველი დეპეშა; ეპატიოს ქუთაისის ღარიბ მოხარჯეთ 1,000 მანეთი და 2) დაარსდეს ქალაქის განაპირა ადგილას ერთი დაბალი სასწავლებელი უმაღლესად ახლად შობილის სახელობისა.

*_* დაბა საჩხერის აზნაურთ აბაშიძეს, წერეთელსა და სხვებს, როგორც «ნოვ. ობ.»-ე იუწყება, პირობა შეუკრავთ ინგლისელ კაპიტალისტ ჩემბერსთან, რომლითაც ზემოხსენებულნი აზნაურნი ქალის თავიანთ დიდ ტყეს იჯარით აძლევენ ჩემბერსს. ახლო მომავალში იჯარადარი შეუდგება ამ ტყის დამუშავებას. იმედი აქვთ, რომ სატყეო მასალათა გარდა ამ ადგილებში აღმოჩნდება ნავთი, ქვა-ნახშირი და ქვა-მარილი.

## ჭლექის წინააღმდეგ ბრძოლა.

—

მკითხველო, თუ შენს წინა დგას ფერმკრთალი, ნაზ-კანიანი, ცოცხალ-თვალებიანი, კარგ-კბილებიანი, მაღალ-კისრიანი, ვიწრო და პტყელ-მკერდიანი, მაღალი კაცი, თუ კიჰკიჰების ზედა-ნაწილები ჩაღრმავებული აქვს, სასუნთქავი მუსკულები სუსტი, გული და ძარღვები ადვილად აღეგზნება ხოლმე, ე. ი. თუ ადვილად წითლდება და ფითრდება, უნდა იფიქრო, რომ ასეთ კაცს, თუ უკვე არა სჭირს ჭლექი, ადვილად შეხვდება სხვადა-სხვა ავ ვარემოებათაგან. ასეთ აგებულებას ეძახიან ჭლექიანის აგებულებას. ასეთის აგებულების კაცს არ შეუძლია მედგრად ებრძოლოს ჭლექს, იგი ბუნებით, დაბადებითვე განწირულია, თითქო მოვლენილია ამ ქვეყნად მსხვერპლად იმ საშინელის სენისა, რომლის ხსენებაც კი შიშის ზარსა ჰგვრის კაცს.

ჭლექი მით არის ძნელი, რომ მეტ წილად ხრონიკულია, ე. ი. ხანგრძლივი, მთელი თავისი სიცოცხლე ხშირად ტანჯვით უნდა ატაროს ჭლექიანმა. დავანებოთ თავი იმას, რომ ჭლექიანი ხშირად სხვის შესანახავად ხდება; კონებრივ ტვირთს, ზარალს ადვილად აიტანს კაცი. უბედურება ის არი, რომ ჭლექიანი საშიშარია ახლობელთათვის ჭლექის გადადების მხრივ. ვინც ჭლექიანთან სცხოვრობს, არასოდეს მოსვენებული არ არი, მუდამ ფიქრში და შიშშია, ჭლექი არ გადამედოსო. და ასე აი სიცოცხლე, მარ-

# ფ ე ლ ე ტ ო ნ ი

—

## ჰ ა ი - ჰ ა ი.

მრისხანებს ზღვა... ებრძვის გორას,
ცეცხლებს გვაფრქვევს მაღლით მთაი.
მედგრად!.. ნუ ძრწი!!. ტალღის შუქი
დაგვიშრეტს ცეცხლს... ჰაი-ჰაი...

—

ისმის კვნესა განგმირულთა;
მოწახეთქი «ვაი, ვაი»,
დაჰკრა ჟამმა... ნუღარ შფოთავთ;
გვეშველება, ჰაი-ჰაი...

—

ბულბული ჰყეფს, დაჰკვნესის ვარდს,
ზიზღს გვიძრავს შორს ყვავის ხმაი;
ვაჲ, რას აქნევს მისი ჰანგი
მგოსნის ჰანგთან?—ჰაი-ჰაი...

—

ალიმპარდა განთიადი,
აღარ სცხრება, ვხედავთ ზღვაი;
ჩვენ რწმენა გვაქვს: ბნელს ცისკარი
დასძლევს, დასძლევს, ჰაი-ჰაი...

—

მაშ, წინ მნათნო! ცეცხლში ჩავდგეთ...
დედას მტრისას... ჰაი-ჰაი...
მო, შევსცვალოთ სიხარულად
ამდენის ხნის ცრემლის ღვრაი...

ცადხელი.

—

## აკაკის უფროსის დის ანნა წერეთლის ქალის გადმონაცემი.

«აკაკი პატარაობითვე ახირებული რამ იყო. ნამეტანის სისუქნის გამო, დათვის ბელს ვეძახოდით. სახე მუდამ უცინოდა; საკუთარი არა აწუხებდა-რა, მაგრამ, სხვის საწყენს თუ რასმე ჰნახავდა ან გაიგონებდა, მაშინ კი მოჰყვებოდა ხოლმე ტიტილს და ღრიალს.

პირუტყვები უყვარდა, მაგრამ ქათმები კი ყველაზედ მეტად. წიგნი ადრე დააწყებინა დედამ და, კითხვას როცა კი მორჩებოდა ხოლმე დილ-დილაობით, მერე სულ ფარეშებში იყო გართული. ჯერ ოთხის წლისაც არ იყო, რომ ზღაპრებს გამალებით უგდებდა ყურს. ისე არ დაიძინებდა, თუ ზღაპარს არ ეტყოდნენ. ჩამიწვებოდა ქვეშსაგებში და დამაწყებინებდა ზღაპრებს; ყველაზედ უფრო „მელიას“ ზღაპარი უყვარდა. თითონაც იმეორებდა და შიგა და შიგ თავისასაც ჩაურთავდა ხოლმე. მაშინ, ბატონ-ყმობის დროს, მოსამსახურეებმა ერთმანეთში გაშაირება იცოდნენ ხოლმე, აკაკიც ჩაერეოდა შაირში და თითქმის ყველასა სჯობნიდა. შაირების გამოთქმით საქმეს უჭირვებდა ყველას. არავინ დაუტოვებია ოჯახში, არც კაცი და არც პირუტყვი, რომ არა გამოეთქვა-რა. ზოგიერთებმა აქამდინაც მოაღწია. მაგალითად, ხაბაზს გამოუთქვა:

მენი გამომცხვარი პური,
ღაჟაში და მურასაო [1]),
ადამიანს არ ეჭმება,
გადუყარეთ მურასაო [2]).

შინაყმა თომა სადუნიშილს:

ფვაო, ფვაო, ფვანჩალაო
ჩამოგივლია ჭალაო,
თუ შეიტყვე, როდის მოვა
ჩვენი თომა ქარჩალაო.

ქრისტეფორე ბერს:

ქრისტეფორე ბერიაო,
ცოდვას გუბერიაო,
წვერები ჩვენს ვაცს მიუგავს,
გასზე გაუშვერიაო.

ხელოსანს (მემარნეს):

ხელოსანი მარანშია,
დგისოს ბდეებს ხაშიასო,
ჭურის თავზე იბრუჟება,
სხვებს კი ასმევს ყლაპიაო.

მოურავზე:

ბედლს თავვი შესჩვევია,
ხრავს სულ რაც სახრავიაო,
მაგრამ თვითონ დიდი თაგვი
თითონ მოურავიაო.

ქათამზე:

საბუდარში ჩამჯდარიყო,
კაკანობდა ქოჩორაო,
მაგრამ კვერცხი არ დადვა,
ტყუილები მოჭორაო.

ცხენზე:

მთაში ფუფ თეთრი ბანი,
როგორც იმა მკლეებს გადარჩა,
როცა ბარში ჩამოვიდა
მეველეებს გაექცა.

ამგვარი შაირები, რომელიც ახლა აღარავის ეხსომება, ბევრი იყო იმ დროს.

აკაკი ექვს-შვიდ წლამდინ ზეპირად გამოსთქვამდა ხოლმე შაირებს; მერე, როცა წერა ისწავლა, სწერდა კიდეც. ერთი მისი ლექსი დღესაც აწერია ქვის ფიცარზე. აი ეს როგორ იყო: დედა ჩემმა ეკატირინემ ბაღი გააშენა, შიგ შადრევანებითა და აუზებით. იმ დროს ჩვენში მისთანა ბაღი არსად ყოფილა.

თორმეტის წლის აკაკიმ, მაშინ მეორე კლასის მოწაფემ, აკროსტიხი დააწერა ქვის მაგიდაზე ასე:

„ერთგულება იჯახისა მრავალს კეთილს გააჩენსა:
კლდესა შრომით მიწად შეიქმს, უთევზო წყალს თევზს აჩენსა,
არად შერაცხს შრომას, ტანჯვას, საბოლოოდ მოსალხენსა,
ტკბილსა შეიქმს მწარისაგან, ბნელსა ადგილს ნათელს ჰფენსა.
იდუმალ იწყებს კეთილს, საბოლოოდ მოსალხენსა.
რა საჭიროა გეგმები? თვით გაჩენს უნაკლოდ.
იტვირთავს ძნელსა საქმესა, აღასრულებს შეუდრეკლად.
ნახეთ, მოდით, უცხო რამე, არ ნახულა რაც ძველად:
ედემს ბაღი დაამშვენებს, ჩასჩქეფს წყალი მოსარწყველად“.

თ-დი. აკაკი წერეთელი
ჩყნბ-ს წელსა.
აპრილის ღ-ს დღესა.

(გადმოწერილია ქვიდგან).

«ჩემის აზრით, მის შინაურ ნაწერებში ყველაზე უფრო შესანიშნავი ბატონ-ყმობაზე დაწერილი სცენები იყო.

1850 წ. ქართლიდგან სტუმრები გვეწვივნენ, ისინი ვარანცოვის სასახლეში დასწრებოდნენ გლუხარიჩის კომედიას და თითო კაკლად გადმოგვცეს, რაც ენახათ და გაეგონათ. ათის წლის აკაკი, ამ მუსაიფს სულ-განაბული უგდებდა ყურს და მეორე თუ მესამე დღეს თითონაც დასწერა ბატონ-ყმობაზე.

სასცენოდ გამოჰყავდა, ან ბიჭები როგორ ცუღლუტობდნენ და ერთმანეთს ბატონთან აბეზღებდნენ, ან მოურავი როგორ გაიძვერაობდა, ბატონები როგორ სასტიკად მრისხანებდნენ, და სხვა-და-სხვა.

ეს ნაწერები დედას ძვირფას განძივით ჰქონდა შენახული დიდხანს. რუსეთიდგან რომ დაბრუნდა ჩემი ძმა, აკაკი, გამოართვა დედას ის სცენები და არ ვიცი, სხვას გადასცა, თუ დაჰკარგა; მას უკან აღარ გვინახავს. მისი პირი ჩვენს მეზობლებში ბევრს ჰქონდა გადაწერილი და, თუ სადმე აღმოჩნდა, სწორედ კარგი დამახასიათებელი იქმნება ათის წლის ბაშვის როგორც ნიჭისა, ისე მისს აზრებისა.

აკაკი ბავშობისას რასაც სწერდა—არავის არა სწყინდა, მაგრამ ბოლოს, როცა რუსეთიდგან დაბრუნდა, ბევრს შეაძულა თავი თავის ლექსებით და თვითონ აკაკიმაც ბევრი ტანჯვა გამოიარაო», —დაასრულა ეს მოგონება დიდად პატივცებულმა აკაკის დამ—ანნამ.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ქ-ნს ანნას, როგორც ხნოვანობით აკაკიზე უფროსს, დაწვრილებით ახსოვს და კარგად იცის აკაკის ავ-კარგი—მის სიყმაწვილიდგან მოყოლებული, ვიდრე აქამომდე. არა მგონია, ჩვენს საყვარელს მგოსანზედ რომელმამე ადამიანმა იმდენი რამე და ისე დაწვრილებით იცოდეს, როგორც ქალბატონმა ანნამ, რადგანაც ის არ გათხოვილა, სიყრმიდგან ოჯახს არ მოშორებია და მთელი ჭირი და ლხინი აკაკისა, სიბავშვიდან აქამომდე, ცხოვლად და ზედ-მიწევნით იცის. ამ ბოლო სტრიქონებს იმიტომა ვსწერ, რომ კარგი იქმნება, ვინმე ჩვენი მწერალი იკისრებდეს და, სანამ ქალბატონი ანა ჯანმთლად ბრძანდება, აკაკის შესახებ უტყუარსა და ცოცხალს საბიოგრაფიო მასალასა და ამბებს შეჰკრებდეს.

სოსიკო მერკვილაძე.

[1]) მურასა დიდი გძელი პურია.
[2]) ძაღლსაო.

თალი მოვახსენოთ, სიცოცხლე კი არა, ჯოჯოხეთია.

ამ გვარად, ჭლექიანი მარტო თვითონ კი არ არი უბედური, თავის ახლობელთაც აუბედურებს. მთელი ის ოჯახი, სადაც ჭლექიანი სცხოვრობს, უბედურია, თამამად შეგვიძლია ვსთქვათ.

ამ წერილში ლაპარაკი მექნება უმთავრესად ფილტვის ჭლექის შესახებ. ჭლექის დასაწყისი ძნელად გამოსაცნობია.

მაგალითად, კაცს დააწყებინებს ხველებას. იგი ახველებს ან მშრალად ან და მცირეოდნად ნახველსაც აღებინებს. საღამ-საღამოს ცოტა სიცხესაც აძლევს, ასე 38⁰—38,5⁰ გრადუსამდის. სიარულის დროს ადვილად იღლება, სუნთქვა უძნელდება, თან-და-თან ხმება, ფერი უფითრდება, მადა ეკარგება. ავადმყოფს ჰგონია გავცივდიო, მაგრამ უბრალო გაცივებისაგან კაცი ძლიერ არ გახდება და არ დასუსტდება, რადგან ადვილად რჩება. ქალიშვილებს დედათ წესი რიგიანად აღარ მოსდით. მათ ჰგონიათ, ვითომ ქალწულის სისხლნაკლულობა (ხლოროზი) გვაქვსო, მაგრამ ეს უკანასკნელი სნეულება ისეთს სიგამხდრეს ვერ გამოიწვევს, როგორც ჭლექი. თუ ნახველს სისხლი ურევია, ავადმყოფს მხოლოდ მაშინ შეაქვს ეჭვი თავის სნეულებაზე და მიმართავს ხოლმე ექიმს.

ნახველი ჭლექიანისა არის ჩირქი, გარეშე-მორტყმულ ლორტყით, ცალ-ცალკე ნაკვეთებისაგან შემდგარი. ვისაც ამგვარი ნახველი ამოსდის, იგი შეიძლება ჩაითვალოს ჭლექის მხრივ საეჭვო ავადმყოფად.

ფილტვების ჭლექით ავადმყოფი ხშირად სისხლს ატანს ნახველს; ხან სისხლი ძლიერ ცოტაა, მცირეოდენ ზოლებადი ურევია ნახველს, ხან სისხლი ბლომად ამოსკდება ფილტვებიდან, რამდენსამე კოვზამდის და ზოგჯერ მეტიც. ხან-და-ხან, თუმცა-კი, საბედნიეროდ, ძვირად ავადმყოფი იმდენ სისხლს ამოარწყევს ხოლმე, რომ, თუ მაშინვე არა, მოკლე ხანში ესალმება წუთისოფელს.

როცა ავადმყოფი სისხლს მაშინ ამჩნევს თავის ნახველში, ოდეს ჯერ კიდევ ჭლექი მორეული არა აქვს, ეს სასიკეთო შემთხვევაა, რადგან მაშინ იგი დროზე ზრუნავს თავის განკურნებისათვის იმ დროს, როდესაც ჯერ კიდევ არაა გვიან, შესაძლებელია თავის მორჩენა.

სიცხე ჭლექიანს აქვს მაშინ, როდესაც ჭლექი ასე თუ ისე აზიანებს ფილტვს, როდესაც ჭლექის განმანადგურებელი მსვლელობა ჩერდება, ე. ი. ჭლექის შხამის ძალა სუსტდება და ფილტვს აღარ აზიანებს, მაშინ ავადმყოფს აღარც სიცხე აქვს. ამიტომ როდესაც ჭლექი ძლიერ მძაფრად, მძიმედ ეკიდება ფილტვს, ჭლექიანს დიდი სიცხე აქვს. როდესაც ჭლექი მხოლოდ ზომიერად ეკიდება ფილტვს, მაშინ ჭლექიანს სიცხეც ზომიერი აქვს. უკანასკნელ შემთხვევაში ავადმყოფს მხოლოდ ნასადილევს შეაცივნებს ხოლმე ცოტათი და შემდეგ სიცხესაც აძლევს, ღამე კი სიცხე ისევ ნელდება. სიცხის გამონელებას თან მოჰყვება ხოლმე ძლიერი ოფლი. ღამით ოფლი ძლიერ აწუხებს, ძილს უფრთხობს და ასუსტებს ჭლექიანს. ამ გვარი ოფლიც ერთი ნიშანთაგანია ჭლექისა.

გული ჭლექიანს ხშირად ძლიერ პატარა აქვს, და თან ადვილად მოსდის გულის ფრიალი, მაჯის ხშირი ცემა. ასეთის ავადმყოფობისათვის მავნებელია მთის ჰაერი.

კუჭს ჭლექი ძვირად ედება, მაგრამ ჭლექიანებს უმეტეს წილად ძლიერ ხშირადა აქვთ დაკარგული ჭამის მადა, გული ერევათ, პირიდან ამოდისთ ქარი, მოსდით რწყევა, განსაკუთრებით ხველების შემდეგ, ჭამის შემდეგ გულიკოვზს ქვეშ გრძნობენ, თითქო რაღაც მძიმე აწვებათ.

წელებს ხშირად ედება ჭლექი. ჭლექიანი ჰყლაპავს ნახველს, რომელიც აჩენს ჭლექს წელებში, წელების შინაგან-პირს უჩნდება წყლული, რის გამოც ჭლექიანს მოსდის ფაღარათი, რომელიც ძნელად შესაჩერებელია. ამ შემთხვევაში განავალსაც ხშირად ურევია სისხლი.

ფილტვით ჭლექიანთა ერთს მესამედ ნაწილს უთუოდ ყელიც დაზიანებული აქვს, ყელის ჭლექიცა აქვს, რადგან ნახველი ყოველთვის გულიდან ამოდის, ყელს ხვდება.

ჭლექიანთა უმეტეს ნაწილს თან-და-თან უჩნდება საშინელი სისხლ-ნაკლებობა. როდესაც ჭლექიანს ფილტვები ჭლექის ხანგრძლივი მოქმედებით ძლიერ დაზიანებულია, მას უჩნდება ერთ გვარი მძიმე სნეულება ღვიძლისა, ტყირპისა და ჰაჰებისა. ეს ორგანოები დიდდებიან, მაგრდებიან და ვეღარ ასრულებენ რიგიანად თავის დანიშნულებას. ამ სნეულებას ეძახიან ამილოიდს. ხან-და-ხან ამილოიდი წელების შინაგან პირსაც უჩნდება. ამ შემთხვევაში ჭლექიანსა აქვს ჯერ მოთეთრო განავალი და შემდეგ უჩნდება საშინელი, შეუჩერებელი ფაღარათი, რომელსაც მალე მოჰყვება ხოლმე სიკვდილი.

სიცხის, უმადობის, ფაღარათის და სხ. მიზეზთა გამო, ჭლექიანები საშინლად გახდებიან ხოლმე, ცალიერ შეწყობილ ძვლებს წარმოადგენენ. საკვირველია, რომ თვითონ ჭლექიანები ვერ გრძნობენ თავის საშიშარ მდგომარეობას და არასოდეს იმედს არა ჰკარგვენ.

რაც შეეხება კიდევ სხვა რთულ მოვლენებს, რომელნიც ჩვეულებრივნი არიან ჭლექის დროს, უხერხულად ვთვლი ამ სახალხო წერილში მათს განხილვას, რადგან მათი გაგება შეუძლია მხოლოდ განათლებულ ექიმს.

ფილტვების ჭლექი სხვა-და-სხვა გვარად მიმდინარეობს. ხან-და-ხან, მაგალითად, ჭლექიანს უცბად გააცივებს და მისცემს ძლიერ სიცხეს, ან უცბად ამოსკდება ფილტვიდგან დიდ-ძალი სისხლი და მერე მისცემს აგრეთვე დიდ სიცხეს. ამ შემთხვევაში ჭლექი უცბად შემოედება ხოლმე ფილტვის დიდ-ძალ ნაწილს. ნახველი ამ დროს ჟანგის ფერია, მაგრამ თან-და-თან ბალღმდება. ავადმყოფს აქვს დიდი, მუდმივი, გამოუნელებელი სიცხე. ავადმყოფი მოკლე ხანში საოცრად სუსტდება და ერთს ან რამდენსამე თვეში კვდება.

არის ისეთი ფორმა ჭლექისა, რომელიც ჰკლავს ავადმყოფს ნახევარ წლის ან ერთი წლის ან ერთის წლის განმავლობაში. ამ შემთხვევაშიაც სიცხე მუდამ მომატებულია, ავადმყოფი საშინლად ხდება და სუსტდება. რასაკვირველია, ჭლექის სხვა ზემო-ხსენებული ნიშნებია ამ შემთხვევაშიაც არსებობს. ამგვარ ჭლექს ეძახიან მსწრაფლმდინარე ჭლექს.

აქ უნდა აღვნიშნოთ ერთი გარემოება. რაც უნდა დიდი და გამოუნელებელი სიცხე ჰქონდეს ჭლექიანს, ეს სიცხე უსწორმასწოროა. სიცხე ხან 40⁰ გრადუსამდის ადის, ხან ნაკლებია, დღეს დილას რომ 39 გრადუსია; ხვალ დილას 38⁰ ან 37⁰ გრადუსია, დღეს საღამოს რომ 39⁰ გრადუსია, ხვალ საღამოს სიცხე მეტია. ეს უსწორ-მასწორობა სიცხისა არის ჭლექის ერთი ნიშანთაგანი.

ხშირად ჭლექი კიდევ უფრო ხანგრძლივია, მაშასადამე, უფრო ხრონიკული, ვიდრე ზემოდ-აღწერილი მსწრაფლ-მიმდინარე ჭლექი. ამ გვარი ხრონიკული ჭლექიანი დიდხანს სძლებს, ჭლექი ხან სრულიად მიიძინებს, ხან კვლავ იფეთქებს ხოლმე. მრავალ-გვარობა ჭლექის მიმდინარეობისა დიდია. არის ისეთი ჭლექი, რომელიც გამოჩენისათანავე ჰქრება და შემდეგ აღარ ახლდება. ამგვარი ჭლექიდან დაწყებული ძსწრაფლ-მავალ ჭლექამდის ბევრ-გვარი გარდამავალი ფორმებია ჭლექისა. ზოგს უფრო მძიმედ ეკიდება ეს სნეულება, ზოგს უფრო სუბუქათ და ზოგს კი სრულიადაც ვერაფერს აკლებს.

ჭლექი ბავშს უფრო ავად ეკიდება და უფრო მალე ჰკლავს, ვიდრე დიდს.

წინად ეგონათ, რომ მოხუცებულს ფილტვის ჭლექი არ უჩნდებაო. ახლა დამტკიცებულია, რომ არც მოხუცებულს ჰზოგავს ეს სნეულება.

(შემდეგი იქნება).

ექიმი ვ. სიდ წერეთელი.

# რუსეთი

— გაზ. „С.-Петербургскія Вѣдомости“-ს რედაქტორის მოადგილედ, ბ-ნ ალ. სტოლიპინის მაგიერ, დამტკიცებულ იქმნა ა. პ. გრიგოროვი, მოსკოვის საქალაქო ლომბარდის დამფასებელ კომისიის გამგე და გრინგმუტის გაზ. „Моск. Вѣд.“-ის თანამშრომლად ნამყოფი. ბ-ნი ალ. სტოლიპინი ბ-ნმა ა. ა. სუვორინმა («ნოვ. ვრ.»-ს გამომცემლის ა. ს. სუვორინის შვილმა) მიიწვია თავის გაზ. „Русь“-ის მეორე რედაქტორად.

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

თ—დი ალ. მიქელაძე სწერს გაზეთ «რუსში»:

«ნოვ. ვრ.» ფელეტონში (№ 10,102) სწერია: «როცა ქვეყანას დაიპყრობენ, არისტოკრატები ძლეულის ერისა არისტოკრატებადვე რჩებიან... ისეც მოხდება ხოლმე, როგორც მაგალითად ქართველთა და თათართა თავადებს მოუვიდათ, რომ ადგილობრივი არისტოკრატია არამც თუ ზარალობს რასმე, არამედ დიდს მოგებაში რჩება მით, რომ მისი ქვეყანა დაპყრობილ იქმნა. მანამდე თუ უბრალო მწყემსები იყვნენ, მას უკან უცბად რიურიკოვიჩების ტოლებად და სწორებად გადიქცევიან ხოლმე». ნება მიბოძეთ ვკითხოთ «ნოვ. ვრ.»-ს პუბლიცისტს, როდის იყო დაპყრობილი საქართველო? *). ამას გარდა, ეს უნდა გკითხოთ კიდევ: რა წყაროების და საბუთების ძალით ამტკიცებენ, ვითომ იმ დროს ქართველნი თავადნი მწყემსნი და მენახირენი იყვნენ? მართალია, ბევრს ქართველს თავადიშვილს ჰყავდა მაშინ მრავლად ძროხა, ხარი, ცხვარი, ჯოგი ცხენებისა და ირმებისაც-კი, მაგრამ ეს ამტკიცებს მხოლოდ ჩვენის თავადიშვილების სიმდიდრეს და დოვლათიანობის და სხვას არაფერს! თუ ასეთი დარიბნი არიან ქართველნი თავადნი, მაგის მიზეზი ერთის მხრივ, ის არის, რა მიზეზითაც რუსეთის თავადნიც დარიბდნენ, მეორე მხრივ, არის სხვა მიზეზებიცა, რომელთათვისაც აქ არას ვიტყვი და დავდუმდები.

გაზეთი ამბობს, რომ ქართველმა თავადიშვილმა ბევრი მოიგეს, უცბად რიურიკოვიჩების ტოლნი და სწორნი შეიქმნენო, ასე იგი მოიგეს მით, რომ ისეთივე უფლებანი და უპირატესობანი აქვთ, როგორც რუსთა თავადებსაო. მაგრამ ქართველნი თავადნი განა უფრო მეტის უფლებითა და უპირატესობით არ იყვნენ მოსილნი ძველად საქართველოში? საქართველო თავის საკუთარის ცხოვრებითა სცხოვრობდა, ჰყავდა თვისნი საკუთარნი მეფენი, თვისნი მთავარნი და თავადნი მაშინ, როცა რიურიკი ჯერ არც კი მოსულიყო რუსეთში, ხოლო ამისთანა ძველ გვარების შთამომავლობის მწყემსებათ მოხსენება მხოლოდ იმას ჰნიშნავს, რომ ამის მთქმელი სრულიად უვიცია და ყოვლად უმეცარი. ჩვენის ფიქრით, რუსთა პუბლიცისტი არაოდეს არ უნდა ახელებდეს ერთს ერს მეორეზედ, არ უნდა სთესდეს სიძულვილსა და სხვა და სხვათის გრძნობას. რუსული გაზეთი კი დასცინის და მასხარად იგდებს იმ ერის მთელს წოდებას, რომელიც აუარებელს სისხლსა ჰღვრიდა და ახლაც ჰღვრის რუსეთისათვის.

ძალიან უკაცრავადა ბრძანებულა რუსეთის პუბლიცისტი, მაგრამ რას იზამთ: კაცია და გუნებაო, თავში ებრაგუნებაო!

# თეატრი და ხელოვნება

თავ. ა. ა. წერეთელმა (ჩვენის საყვარელ მგოსნის აკაკის შვილია), რომელმაც ამ ორის წლის წინად ოპერის ანტრეპრენიორობას თავი დაანება, ეხლა ისევ მოჰკიდა ხელი ამ საქმეს და იჯარით აიღო პეტერბურგის კონსერვატორიის თეატრი საოპერო დასისათვის. თავ. წერეთელმა ყოველი ღონისძიება იხმარა, რომ სამაგალითო დასი შეედგინა. სხვათა შორის, მიწვეული ჰყავს შემდეგი სახელგანთქმული მომღერლები, რომელთაც ტფილისელებიც იცნობენ: მის უდიდებულესობის სოლისტი ნ. ნ. ფიგნერი, კლემენტიევი, სელიავინი, ვინოგრადოვი, ო. ი. კამონსკი, სიბირიაკოვი, სერგეევი, ქ-ნნი მ. ნ. ინსაროვისა, ვან-დერ-ბრანდტი, კარამაზინა-ჟუკოვსკაია დობრჟანსკაია და მრავალნი სხვანი. თავად წერეთლის საოპერო დასმა სეზონი უკვე დაიწყო 27 ივლის. სხვათა შორის, დასდგამენ ახალს ოპერებს: «ვაი ჭკუისაგან», თხზ. გრიბოედოვისა, მუსიკა ივანოვისა, «ფაუსტის დაღუპვა», მუს. ბერლიოზისა, «ჩერევიჩკი», ჩაიკოვსკისა და «M-ll ფიფი», მუსიკა კიუისა.

*) არა გვგონია იყოს ვინმე ისეთი, არ იცოდეს, რომ საქართველოს არაოდეს არ უომნია რუსეთის წინაამდეგ. მაშასადამე მისი «დაპყრობაც» შეუძლებელი იქმნებოდა.

# ნარევი

—

რუს-ოსმალთა უკანასკნელს ომში, ლოვჩასთან მომხდარ ბრძოლაში, დაიჭრა ჯარის კაცი ლაზარე გრინელესი, რომელსაც ცოლი და ორი შვილი მიეტოვებინა ქვაბეცში. ომი რომ გათავდა, გრინელესი სამშობლოში აღარ დაბრუნებულა, დაუვიწყნია თავისი ცოლშვილი და რუმინიაში გადასულა. გრინელესის ცოლს თითქმის 7—8 წელიწადი ულოდნია, მაგრამ ქმრისაგან არავითარი ამბავი არ მიუღია და გადაუწყვეტია, რომ ქმარი ომში დაიღუპაო. 1883 წელს გრინელესის ცოლი გათხოვილა და წაჰყოლია მკერვალს იაკობ შნეიდვეისს, რომელიც 1885 წელს ადესაში გადასახლებულა საცხოვრებლად.

ამ ორის წლის წინად ადესაში ბუქარესტიდგან მოსულა ახალგაზდა კაცი, მეერ ბრუხი და შნეიდვეისთან ქარგლად დამდგარა. შნეიდვეისის გერი (გრინელესის ცოლის ქალიშვილი) მოსწონებია ამ ყმაწვილს და შეურთავს. ამ დღეებში ადესაში ბუქარესტიდგან მოსულა მეერ ბრუხის მამაც. მამის ჩამოსვლის პატივსაცემლად შვილს საღამო გაუმართავს და დაუპატიჟნია ცოლის ნათესავებიც. როდესაც მკერვალ შნეიდვეისის ცოლს შეუხედავს თავის სიძის მამისთვის, გაფითრებულა და გულ-წასული კარებს მიჰყრდნობია. მოხუც ბრუხსსაც ასევე დაჰმართნია: მკვდრის ფერი დასდებია და ადგილიდგან ვერ დაძრულა. ამ ამბავს ძლიერ გაუკვირვებია ახლად შეუღლებულნი. კარგა ხნის სიჩუმის შემდეგ, შნეიდვეისის ცოლი მიახლოვებია მოხუც ბრუხს და უკითხავს:

— მიცანი?

ბრუხსს სახელი უთქვამს ქ-ნ შნეიდვეისისათვის. იქ დამსწრეთ უფრო გაჰკვირებიათ ეს ამბავი და ჯერ ვერაფერს მიმხვდარან. ქ-ნ შნეიდვეისს თვალებზედ ცრემლები მოადგა, მიუახლოვდა ბრუხს და მოსთხოვა, ხმა-მაღლა აუხსნი აქ დამსწრეთ ამ შემთხვევის მიზეზიო. აღმოჩნდა, რომ შნეიდვეისს უცნია თავისი ქმარი ლაზარე გრინელესი, რომელსაც ომში დაღუპულადა სთვლიდა. გრინელესსაც, თავისის მხრივ, უცვნია თავისი ყოფილი ცოლი—ეხლა შნეიდვეისის მეუღლე. გამოირკვა, რომ ლაზარე გრინელესს რუმინიაში სახელი და გვარი გამოუცვლია და მოსე ბრუხსი დაუთქმევია.

თურმე ორ-ცოლიანსა და ორ-ქმრიანს დაუქორწინებიათ და-ძმანი. ეხლა «ოდ. ნოვ.»-ი იუწყება, რომ ყველა ამათ მიუმართავთ სასულიერო რაბინისათვის, რომელსაც ქ-ნი შნეიდვეისი ორ-ნაირად განუქორწინებია: ჯერ თავის უწინდელ, მკვდრეთით აღდგენილ ქმართან—ლაზარე გრინელეს-მოსე ბრუხსთან—და მერე მკერვალ შნეიდვეისთან, მეორე ქმართან. ახალგაზდა და-ძმა-ცოლ-ქმარნიც განუქორწინებია სულიერ რაბინს.

17 ივლისს გაიგეს, რომ გრინელეს-ბრუხსი, იმის შიშით, რომ არ დამიჭირონ და სამართალში არ მიმცენ ორ-ცოლიანობის გამო, ადესიდგან გაპარულა. ამნაირად, გრინელეს-ბრუხსმა უფრო გაამწვავა თავის პირველ ცოლის მდგომარეობა, რადგანაც ეს შნეიდვეისს უკვე გაეყარა და გრინელესთან უნდა ეცხოვრნა. ეხლა, რაკი გრინელესი გაიპარა, შნეიდვეისს ხელმეორედ ისე ვეღარ მისთხოვდება, თუ გრინელეს-ბრუხსაც არ განშორდა კანონიერად, გრინელესმა კი უკვე თავს უშველა!..

აი, ნამდვილი დრამა, ჩვენს დროსა და ცხოვრებაში მომხდარი!

„ივერიის“ ფოსტა

—

ქ—ნის. თქვენი ლექსები არ დაიბეჭდება.

კოსტა მალაშაძეს. არც თქვენი ლექსები დაიბეჭდა.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

4 აგვისტო.

**ნუკლენი.** (საკ. კორესპ.) ამ დღეებში პორტ-არტურიდან 92 კაცი მოვიდა სახლობებით. ეს უკანასკნელი კრებულია იქიდან მოსულთა, რომელნიც იაპონელებს გამოუშვიათ და უთქვამთ, შემდეგ ხალხის გადასაზიდ ნავებს სულ ერთიანად მოვსპობთ და ამიერიდან ყველანი სამხედრო ტყვეებად ჩაითვლებიანო. ალყა შემორტყმულნი კარგს გუნებაზე არიან. ერთობ მედგრად იცავენ თავსა. მოქალაქენი ჯარის-კაცებად შედიან.

**ორანი.** 500 მაროკელმა იერიში მიიტანა საფრანგეთის მცირე რაზმზე ორანიდან სამხრეთად, ფურტას ახლო 45 მაროკელია მოკლული. ფურტს 200 შემდგარი რაზმი გაიგზავნა.

**პარიჟი.** დელკასსეს ვანკარგულებით 2 აგვისტოს ტოკიოს გაიგზავნა ნოტა რომელშიაც გამოთქმულია რუსეთის მთავრობის პროტესტი ნაღმოსან «რეშიტელნის» შესახებ. სრული საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ეს სადაო საქმე კეთილად დამთავრდება დიპლომატიურის გზითა

**კარლსბადი.** აქ მოვიდა იმპერატორი ფრანც იოსები.

**ლონდონი.** თიბეთელებისათვის პირშეკრულობის პროექტი წარუდგენიათ.

**ლხასსა.** (რეიტერი). საქმეთა მდგომარეობა, ვგონებთ, უმჯობესდება. დალაი-ლამ საქმეს თვალს ადევნებს მონასტრიდან, რომელიც რვა დღის სავალზეა ლხასსიდან. ყოველივე მზად არის იმის გასაქცევად. თიბეთელები მომეტებულად იმისი წინაამდეგნი არიან, რომ არ უნდათ ინგლისელებს ზარალი უზღან.

**მინსკი.** დაიწვა მთლად დაბა ვოლოჟანი, მინსკის გუბერნიაში, 60 ვერსზე მინსკიდან.

**ლონდონი.** (რეიტერი) ბალფურმა შეკითხვაზე უპასუხა, მთავრობას საფუძველი აქვს იფიქროს, რომ ის გემები რომელთა, კრეისერებად გარდაქმნა მოსახერხებლია, ამიერიდან შავის ზღვიდან აღარ გამოვლენ და სანეიტრალო გემებს აღარ დაღუპვენ.

**ბერლინი.** იმპერატორმა ვილჰელმა ხელმწიფე იმპერატორს მილოცვის დეპეშა გაუგზავნა მემკვიდრის დაბადების გამო, რომლითაც იწვევს ღვთის ლოცვაკურთხევას მემკვიდრის დედისთვის. მაშინვე მგრძნობიერი პასუხი მისწერა ხელმწიფე იმპერატორმა.

**ნაგასაკი.** (რეიტერი) ფოსტა, რომელიც რუსებმა გემ «პრინც ჰენრიხზე» წაართვეს მეწამულთ ზღვაში, ნაგასაკს მოვიდა, გახსნეს და გაშინჯეს საფრანგეთის, გერმანიის და ინგლისის კონსულთა თანადასწრებით

**ბერლინი.** (ვოლფი) გუბერნატორი გრუპპელი ცინდაოდან იუწყება, იაპონიის კონტრ-ნაღმოსანი «აკასუში» 3 აგვისტოს, დილის ათ საათზე ნავთსადგურში შევიდა. იმაზე მყოფს ადმირალ დევას ფლაგ-აფიცერს აუწყეს, რომ რუსის სამხედრო გემებს იარაღი აჰყარესო. გუშინ დღის 12 საათზე კონტრ-ნაღმოსანი ისევ ზღვაში გავიდა. იაპონიის სამხედრო გემები დღის 2 საათზე სულ აღარ სჩანდენ.

**სტამბოლი.** პირობით შეკრულ სახელწიფოთა ელჩებმა გუშინ წერილებითი პასუხი გასცეს პორტას უკანასკნელ ნოტის გამო შესახებ უცხოელ ჟანდარმის აფიცრების მომატებისა მაკედონიაში, პასუხი თხოულობს პორტასაგან მომატებასა.

5 აგვისტო.

**ლონდონი.** (რეიტერი) «ლლოიდის» დეპეშის სიტყვით აიჩიოდან, ინგლისის სანახშირო გემი «სკოტიანი» 30 ივლისს გააჩერა რუსის კრეისერმა «ურალმა» ჰიბრალტარის სრუტის დასავლეთად და ისევ მისცა ნება გზას შესდგომიყო «ურალის» კამანდირმა განაცხადა, ის 200 მეტს გემს დაეძებს კონტრობანდითა, რომლებიც იტალიისა და ისპანიის ნავსადგურებში უნდა გადაეცალათ.

**პარიჟი.** როგორც, ტოკიოდან იუწყებიან, ადმირალმა კამიმურამ საშუალებანი იღონა, რომ «ნოვიკს» ვლადივოსტოკისაკენ გზა გადაუჭრას. მაგრამ კომანდირმა კარგად იცის, სადაც არიან იაპონიის გემები; იმას გუშინ დაუბრკოლებლივ შეეძლო წასულიყო ციაოჯოუდან ჩრდილოეთად. იაპონელებმა ძალიან გვიან შენიშნეს კრეისერი.

**ტოკიო.** (რეიტერი). ტოგომ მოახსენა, ზღვაზე ბრძოლაში 28 ივლისს იაპონელებმა დაჰკარგეს დახოცილ-დაჭრილი 225 კაცი.

**პარიჟი.** თიანძინიდან გამოგზავნილს დეპეშის სიტყვით, ჯერ-ჯერობით ყველა მოქალაქეებს არ დაუნებებიათ პორტ-ირტურისათვის თავი. ციხეში და მის გარემო 500 ქალი იქმნება

**სტამბოლი.** პორტასა და შეერთებულ შტატებ შორის კვლავ გამწვავდა საქმე ამერიკა-სამხრეთის სკოლ-ითა გამო, რადგან ზოგიერთი იმათგანი პორტას არ უნდა შეიწყნაროს.

5 აგვისტო.

**პეტერბურგი.** ბიულეტენი მის უდიდებულესობისა: მისი უდიდებულესობა ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული თავს სრულიად კარგადა გრძნობს. მშობიარობის შემდეგი პროცესი წესიერად მიმდინარეობს. ტემპერატურა 36,9; მაჯა 88. ახლად დაბადებულ მემკვიდრე ცესარევიჩი ძუძუს კარგა იღებს. ხელს აწერენ ლეიბ-აკუშერი პროფესორი დმ. ოტტი ლეიბ ხირურგი მის უდიდებულესობისა დოქტორი გირში 4 აგვისტოს 1904 წ. პეტერგოფი.

ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და ჯილდოდ უბოძა ორდენები იაპონელების წინააღმდეგ მეომართ: სტანისლავა პირველ ხარისხისა მახვილებითურთ—პორტ-არტურის კომენდანტს სმირნოვს, მესამე აღმოსავლეთ-ციმბირის მსროლელთა დივიზიის უფროსს კაშტალინსკის და ქვანთუენის საციხო არტილერიის უფროსს ბოლოის; წმ. ვლადიმერის მესამე ხარისხისა მახვილებითურთ—მეშვიდე აღმოსავლეთ-ციმბირის მსროლელთა დივიზიის უფროსს კონდრატენკოს.

**ტოკიო.** (რეიტერი). იუწყება კერძოდ, პორტ-არტურის კომენდანტმა ზრდილობიანი მადლობა შეუთვალა იაპონელთა ჯარის უფროსს, რომელმაც განაცხადა მშვიდობიან მცხოვრებთ შეუძლიანთ ქალაქიდან გამოვიდნენო, ხოლო ციხის ჩაბარებაზე კი უარი შეუთვალა.

**კობე.** (რეიტერი). იმ წერილთა შორის, რომლებიც გემს პრინც გენრიხზე იყო და დღეს აღარა სჩანს, რამდენიმე წერილი იაპონელების აგენტებისაც უნდა იყოს რუსეთიდგანაო.

**თანძინი.** (რეიტერი). ადმირალმა სამ სამსახურიდგან დათხოვნის ქაღალდი შეიტანა და მზადაა სასჯელი მიიღოს იმის გამო, რომ იაპონელებს წინააღმდეგობა არ გაუწია «რეშიტელნის დატყვევების დროს.—იუანშიკაი ავად გახდა ამ ამბის გამო და ეხლა უფრო ცუდად და მოუსვენრად არის.

**ჩიფუ.** (რეიტერი). იაპონელებმა ალყა პორტ-არტურს მიუახლოვეს. მარჯვენა ფრთა გოლუბინის ბუხტსთან აქვთ; შუბლმა პალინჯუანამდე მიაღწია, 2 მილის სიშორეზე ქალაქიდგან.—გემი „დაციმა“ პორტ-არტურის წინ გაჩერდა და მგზავრნი უყურებდნენ, გოლუბინი ბუხტიდგან რომ პორტ-არტურს ყუმბარები დაუშინეს.—გულ დასაწყვეტი სანახაობა იყო როდესაც ზღვის ტალღებით გამორიყულ რუსის მატროსს ასაფლავებდნენ, რომელმაც გემ „რეშიტელნიდგან ხუთი იაპონელი გადააგდო ზღვაში ვიდრე ტყვიას მოარტყამდნენ გულში. «რეშიტელნის» კომანდირი, რომელსაც ჯერ ტყვია არ ამოაცალეს, კოჭლობით მივიდა მიცვალებულთან და ტირილით გამოესალმა. ჩინელების მატროსების საპატიო რაზმი დაესწრო და ზარბაზანიც ისროლეს პატივსაცემლად. დაესწრნენ ინგლისის კონსული და პორტ-არტურიდგან მოსული რუსები.

**ძინდაო.** (რეიტერი). პორტ-არტურში ხუროდ ნამყოფი ამერიკელი მოვიდა და ამბობს, მიწაში ჩამალულ ნაღმმა იაპონელები გაჟლიტაო; რამდენიმე ათასი კაცი სულ ნაკუწ-ნაკუწად აქციაო. ციხის მცველები ნაღმით იშორებენ მტერსაო.

**შანჰაი.** (რეიტერი). რუსეთის უფროსმა კონსულმა უპასუხა ტაოტაის, ჩემის მთავრობისაგან ინსტრუქციები არა მაქვს დ ვერას ვიტყვი კრეისერ «ასკოლდისა» დ ნაღმოსან «გროზოვოის» იარაღის ახსნის შესახებო, რადგან ეს საერთაშორისო მორიგების წინააღმდეგი იქმნებაო. 4 აგვისტოს ტაოტაიმ გარეშე საქმეთა სამინისტროსაგან მოწერილობა მიიღო, კრეისერ «ასკოლდსა» და ნაღმოსან გროზოვოის ვადა მიეცი შესაკეთებლად, რომ შემდეგ ან იარაღი აიყარონ, ან ნავთსადგურიდგან წავიდნენო. 5 აგვისტოს იაპონიის ესკადრას მოელიან, რომ დარწმუნდნენ „ასკოლდი“ და გროზოვოი ეხლავე აიყრიან იარაღს თუ ნავთსადგურიდგან გამოვლენო.

**პარიჟი.** არგენტინის რესპუბლიკის მისსია უარჰყოფს იმ ხმას, ვითომც ომის დაწყების შემდეგ რომელსამე მხარეს სამხედრო გემები მიჰყიდაო.

**იაროსლავი.** საბჭომ გადასწყვიტა მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების გამო ხუთი სტიპენდია დააარსოს ღარიბ და ობოლ ბავშვ:ათვის იმპერატორ ალექსანდრე II თავშესაფარში.—დილის 10 საათსა და 45 წ. წყნარად განისვენა მაღალ ყოვლად-უსამღვდელოესმა სერგიმ, იაროსლავისა და როსტოვის არხიეპისკოპოსმა.

---

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

---

## გამოსადეგი ცნობანი:

**პეტერბურგის ბირჟა**
3 აგვისტოს 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. . . . . | 94,05 |
| ბერლინში 100 მარკაში . . . . | — |
| პარიჟში 100 ფრანკში . . . . | — |
| ლონდონში ჩეკები . . . . . . | 94,80 |
| ბერლინში „ . . . . . . | 46,30 |
| პარიჟში . . „ . . . . . . . | 37,52½ |
| ბირჟის დისკონტი. . . . . . | 6—7½% |
| 4% სახელმწიფო რენტა . . . | 92⅛ ნის. გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. . . . . | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა . . . | 88⅞ წვ. გაყ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 387 წვ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. . . . . | 298 წვ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. . | 255¼ ნის. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. . . . . . . | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. . . . | — |
| 4½% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. . . . | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა. . . . . | 90⅛ წვ. გაყ. |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. . . . . | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | — |

---


# განცხადებანი

---

ქუთაისის ქალაქის წყლისა და ელექტრონულ ტრამვაის გამყვან საზოგადოების

სამთო ინჟენერ

**ა. დ. მიხაილოვის და ამხ.**

# გამგეობა

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ 22 აგვისტოსათვის 1904 წლისა, დილის 10 საათზედ, ქუთაისში, გამგეობის სადგომში, ტფილისის ქუჩაზედ, ანანოვის სახლში, დანიშნულია

**საჩქარო საზოგადო კრება**

ამხანაგობის პაის პატრონებისა.

განსახილველი საგნები: 1) ბალანსი 1 აგვისტოსათვის 1904; 2) გამგეობის მოხსენება ამხანაგობის საქმეთა მდგომარეობის შესახებ და 3) გამგეობისავე მოხსენება იმის შესახებ, რომ ან შემდეგისთვის მოეწყოს საქმეთა მდგომარეობა, ანუ გადაეცეს სხვას. (3—6—1).

---

ქუთაისში

ს. ბ. თოფურიას

# სამკურნალოში,

**რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშ, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

**ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.**

---





## ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისაგან.

მიმდინარე წლის ენკენისთვისათვის ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში სულ ორმოცი (40) ვაკანსია არის პირველ განყოფილებაში (7 და 8 წლის ყმაწვილისათვის) სხვა განყოფილებებში და გიმნაზიურ კლასებში არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის და ამიტომ არც თხოვნები მიიღება ამ კლასებში ყმაწვილების მისაღებად.

40 ვაკანსიიდგან — 39 დანიშნულია გარედან მოსიარულებისათვის და 1 სასაზოგადოების სრულ ხარჯზე.

საზოგადოების ნახევარ ხარჯზე ჯერ არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის და შესაძლებელია სექტემბერში, ხელ-მეორე გამოცდის შემდეგ, გაიხსნას.

ვინც საზოგადოების სრულს ხარჯზე იქნება მიღებული, იმას არაფერი ხარჯი არ მოეთხოვება და ვინც ნახევარ ხარჯზე – უნდა იხადოს წელიწადში ათ-ათი თუმანი. ვისაც სურს მიღებული იქმნას საზოგადოების სრულ ხარჯზე, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან ერთად შემდეგი საბუთის ქაღალდები: ა) წლოვანობის მოწმობა, მიღებული სინოდალურ კანტორისაგან, ბ) სღარიბის მოწმობა მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლისაგან და გ) ყვავილის აცრის და ჯანმთელობის მოწმობა.

ვისაც გარედან მოსიარულეთ სურს შემოსვლა, იმისთვის საჭიროა იგივე საბუთის ქაღალდები, გარდა შეუძლებლობის მოწმობისა.

უკეთუ მთხოვნელთა რიცხვი აღემატება ვაკანსიების რიცხვს, იმ შემთხვევაში მსურველთ ადგილი დაეთმობათ წილის ყრით. წილის ყრაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელნიც წარმოადგენენ საჭირო საბუთის ქაღალდებს და ამასთანავე ეგზამენსაც დაიჭერენ წლოვანობის შესაფერ კლასისათვის.

სკოლის გამგე კომიტეტი არ მიიღებს იმ ყმაწვილებს, რომელნიც არ წარმოადგენენ მათზე დარჩენილს წინა წლის ფულს და მომავალ სამოსწავლო წლის პირველ ნახევრის სწავლა-აღზრდის ფასსაც

შესაძლებელია სექტემბერში, მოსწავლეების ხელმეორე გამოცდის შემდეგ, კიდევ გაიხსნას რამდენიმე ვაკანსია იმათთვის, ვინც სრულს საკუთარ ხარჯზე ისურვებს პანსიონში შემოსვლას, ან ნახევარ ხარჯზე.

ვინც საკუთარ ხარჯზე შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანოს წელიწადში ოცი თუმანი: ათი თუმანი შემოსვლის თანავე და ათიც იანვარში.

ვისაც თხოვნა აქვს შემოტანილი პირველ განყოფილებაში ყმაწვილების მიღებისა,—იმათ 31 აგვისტოსთვის უთუოდ უნდა მოიყვანონ სკოლაში ყმაწვილები ჯანმრთელობის შესამოწმებლად და ქართულ ლაპარაკში გამოსაცდელად.

თხოვნა უნდა შემოვიდეს აგვისტოს 20-მდის; ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: **Въ Тифлисъ. Завѣдывающему Дворянской Школой, на Лабораторной улицѣ.**

აგვისტოს 25—31 რიცხვებში ხელ-მეორე გამოცდა მოხდება ზოგიერთ მოსწავლეებისა- 1-ს სექტემბერს სწავლა დაიწყება- დათხოვნილ იქნებიან აგრეთვე ის გარედან მოსიარულე მოწაფეებიც, რომელნიც სკოლაში მოსვლისათანავე არ წარმოადგენენ მომავალ 1904—1905 სამოსწავლო წლის ფულის ნახევარს. ყველა პანსიონერის მშობლებმა უნდა წარმოადგინონ თავდებნი ტფილისში მცხოვრებთაგანნი, რომელთანაც სკოლის გამგეობას შეეძლოს მიმართვა, როგორც ფულის თავ-თავის დროზედ შემოტანისათვის, აგრეთვე სხვა შემთხვევაშიაც

(17—6—17)

---

**თელავის წმ. ნინოს დედათა სასწავლებლის გამგეობა** ამით, აცხადებს, რომ 1-ლ, მე-2 და მე-3 კლასებში, უადგილობისა გამო, მოწაფენი არ მიიღებიან. მოწაფეთა განმეორებითი გამოცდა მოხდება 25 და 26 აგვისტოს. მოსამზადებელ კლასებში მისაღები ეგზამენები დანიშნულია 27 და 28 აგვისტოსათვის. სახელმწიფო სტიპენდიის ერთი ვაკანსია განთავისუფლდა და მოწაფეს ამ ვაკანსიაზედ დახურულ კენჭის ყრით მიიღებენ, რომელიც დანიშნულია 5 სეკდემბერს. (2—უ—).


# ბუხჰალტერი-სპეციალისტი

(წელიწადი მეორე)

ამზადებს წელს ბევრად გადიდებულ პროგრამით როგორც ვაჟებს, ისე ქალებს, თეორიულად და პრაქტიკულად ორმაგ იტალიანურ და მარტივ ბუხჰალტერიასა, საზოგადო სავაჭროსა და ბანკისასა, კომერციულ არითმეტიკასა, ფინანსიურ გამოანგარიშებასა, არითმეტიკას საანგარიშო ჩოთქით, კომერციულ კორესპონდენციასა, ვაჭრობის ისტორიასა, ვაჭრობის უფლებასა და ვექსილის კანონებს.

(ბანკის ბუხჰალტერია და ვაჭრობის ისტორია მსურველთათვის)

სწავლა ყოველ დღე საღამოს 5-დან 7 საათამდე უქმეების გარდა. სწავლა ოთხ თვეს გასტანს. სწავლის გათავების შემდეგ ატესტატი მიეცემათ. ფასი მთელის კურსისა 60 მან.

სწავლა დაიწყება ენკენისთვის 10-ს 1904 წ.

**ადრესი:** ტფილისი, **ალ. გ. საათაშვილს**, მეორე თუმანოვის ქუჩა, სახლი 17, მე-9 ნაწილში. პირადად მოსალაპარაკებლად ყოველ დღე საღამოს 4-დამ 9 საათამდის, კვირაუქმეობით-კი დილის 9-დან 1 საათამდის და საღამოს 4-დან 9 საათამდის.

ვამზადებ ზემო აღნიშნულ საგნებში აგრეთვე იმათ, რომელთაც საღამოს 8 დან 9-საათამდის შეეძლებათ სწავლა და ამასთანავე თუ ბუხჰალტერიის შესასწავლად დასჭირდებათ საზოგადო არითმეტიკაშიაც. სწავლა გასტანს რვა თვეს. ფასი მორიგებით და შეღავათიანად. სწავლის გათავების შემდეგ ატტესტატი მიეცემათ.

(14—266—4). ალ. გ. საათაშვილი.

---




ვერცხლის




ოქროს



ტფილ. გამოფენა.




# ქარხანა

ზეთიანის საღებავებისა (კრასკებისა)

## ა. ა. თუთაევისა

თხუთმეტ ამ თვის ივლისიდამ შემოკვეთით ვამზადებ რკინის სახურავებისთვის და იატაკებისთვის (ДЛЯ ПОЛОВЪ) ყველა ხაირს ფერს ზეთით გადესილს საღებავებს (краски). ვპირდები ყველას ჩემ ნაცნობს და უცნობს, რომ საღებავები იქნება უტყუარი და მაღალის ღირსების მასალით შეზავებული *), «ბელილა» და სხვა საღებავებიც ვექნება დამზადებული; ვინც მოისურვებს, ხელოსნებსაც გაუგზავნი, როგორც ტფილისში ისე სხვა ადგას. მე თითონაც დაუხედამ საქმეს, თუ საჭირო იქნება. აგრეთვე ვიღებ სახლების აშენებას, მყავს ყველანაირი ხელოსნები, ეკკლესიის სახურავებისთვის სამღვდელოებას დაუთმობ პრეისკურანტის ფასებზედ ფუთი მანეთ ნაკლებ, საქონელი ფასდადებითაც გაიგზავნება 50% ბეის მიღებით. ჩემი ადრესი: ტფილისს, ადალო თუთაევი, ელისაბედის ქუჩა, დიდუბეში, საკუთარ სახლებში.

*) რადგანაც საღებავები ძნელი საცნობია და წასმის შემდეგ მალე ფუჭდება, ამისათვის მაღალის ღირსების მასალით შეზავებული საღებავი ერთი ხუთად მეტს გასძლებს. (20—10)

---



# სწორედ მუქთია,



იტყვის ყველა, ვინც გამოიწერს ჩვენგან

მხოლოდ **5 მ. 45 კ.** ჩვენისავე გაგზავნით.

უგზავნით 7 შემდეგს ნივთს: 1) **საათი** გაშავებული ფოლადისა, ქალისა ანუ კაცისა, მაგარის მექანიზმით, სწორის მუშაობით, 6 წლის ვადით ბუდდავანობით; 2) მეშის ბუდე საათისთვის; 3) **ძეწკვი** საათისა, ქალისა ანუ კაცისა; 4) **ბრელოკი** ახალი ოქროსი „კომპასი“, ანუ «ბინოკლი» საინტერესო სანახავით ან სხვ.; 5) ტყავის ქისა. ფულისთვის მთელის ნაჭრისა, 7 განყოფილებით და მყიდველის ბეჭდით; 6) **მუშტუკი** დ-რის კოხისა თამბაქოს მწეველთათვის, ანუ კალმის დანა; 7) **ოქროს ბეჭედი** ან პრობისა ან ჯიბის ელექტრონის ფარანი, ანუ ტყავის პორტსიგარი ან მეშის ჩანთა ქამარზე ჩამოსაბმელი. თავსახურავიანი საათი გაეგზავნება, ვინც 6 მ. 75 კ. გამოგზავნის.

შეკვეთილი ნივთები გაეგზავნებათ დაუყოვნებლივ და კეთილ სინიდისიერად ბეს გამოგზავნა საჭიროა რ არის, ნივთები ფასდადებით გაეგზავნებათ.

ადრესი: **სავაჭრო სახლი ფელიკიანი და კომპ., ვარშავა**, 36—333

P. S. აზიის რუსეთსა და ციმბირში ნაწილი გზის ხარჯისა მყიდველთ გადახდებათ ნივთებიც მხოლოდ წინადვე ბეის მიღების შემდეგ გაეგზავნებათ. 3—6—3)

---

ვისაც კი გსურთ აიცილოთ გაქურდვადა და მშვიდებული იყვეთ **იყიდეთ,** მარტო 4 მან. 90 კაპ., სააუდამო, უკეთესად შემუშავებული ავტომატიური ხმაურობის გამომწვეველი აპარატი **„ენდოლიანსი“**, მოწონებული ფინანსთა სამინისტროს მიერ № 13,884.

შეგიძლიანთ დაჰკეტოთ ყოველ გვარი სადგომი და საწყობი, ისინიც კი, რომლებიც იმყოფებიან თქვენგან მოშორებით. შეგიძლიანთ აგრეთვე წახვიდეთ სადმე დულ-გამშვიდებული, რომ არ გეშინოდეთ ქურდებისა. **„ენდოლიანსი“** ანიშნებს როგორც შიგნით, ისე გარეთ მყოფთაც. რაწამს დაუპატიჟებელი სტუმარი შეხეება კარებს, ფანჯარას ანუ კარებს გასაღებად, აპარატი **„ენდოლიანსი“**, გარედგან შეუმჩნეველი, გამოიწვევს საშინელ ხმაურობას, მარტო თოფის წამლის აფეთქებით, საშიში არ არის. ხმაურობა ისმის სადგომის შიგნითაც და გარეთაც და აგრედვე შორ მანძილზედაც. თუ სადგომის პატარა ზარს შეაერთებთ აპარატთან, მაშინ აპარატის ხმაურობასთან ერთად ზარი დაიწყებს წკარუნს, რომელ სადგომშიაც უნდა იყოს, და არ შეჩერდება ვიდრე სახლის პატრონთაგანი ვინმე ერ შეაჩერებს.

**„ენდოლიანსი“** საჭიროა საყდრებისა, სახლებისა აგარაკებში, მაღაზიებისა, ბეღლებისა, ჩარდახებისა, სარდაფებისა, მარნებისა, თავლებისა და სხვა სადგომების გაქურდვისაგან დასაცველად. როგორ ადგილშიაც უნდა იყოს სადგომი, სულ ერთია. ეს აპარატი მაგარი ნამუშავარია და ყველას ადვილად შეუძლიან იხმაროს.

ფასი გაგზავნით: ნიკელ გადაკრული აპარატი ჰყირს 4 მან. 90 კაპ., შევერცხლილი—5 მან. 60 კაპ.; ფასს დადებით 10 კაპეიკით მეტი ჰღირს, აზიის რუსეთში კი 30 კაპეიკით მეტი. ვინც ციმბირში გაიწერს, უნდა გამოგზავნოს 2 მან. ბეთ. შეიძლება ფოშტის მარკებით.

მსურველთ მოითხოვონ ამ ადრესით: Т-во „Эндолянъ“. Варшава, Милая 37/105.

განსაკუთრებითი ნაჭარმოებია.

(5—6—)


Дозволено цензурою Тифлисъ 5 августа 1904 г.

Тип. Е. И. Хеладзе. Русск. базаръ, домъ арм. семинаріи